



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მარკეტინგი (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ავთანდილ გაგნიძე, <a href="mailto:agagnidze@ibsu.edu.ge">agagnidze@ibsu.edu.ge</a> ტ.597999554
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	დამატებითი (Minor)
კრედიტების რაოდენობა	60
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	-
დაშვების წინაპირობები	დამატებითი საბაკალავრო საგანმანათლებლო (მაინორის) პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>მარკეტინგის სპეციალობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად მოთხოვნადია საქართველოსა და მსოფლიოს შრომითი რესურსების ბაზარზე. თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს პროცესებს იმგვარი მარკეტოლოგები სჭირდება, რომლებიც მჭიდროდ დაუკავშირებენ ერთმანეთს ადამიანის მსყიდველობითუნარიან მოთხოვნას და ბიზნესს. ამავე დროს მარკეტოლოგებმა უნდა განახორციელონ ბაზრების შესწავლის, მათი სეგმენტებად დაყოფის და ამ სეგმენტების დაკმაყოფილების პროცესი, სწორად დაგეგმილი მარკეტინგული სტრატეგიის და მარკეტინგული ტაქტიკის საშუალებით.</p> <p>დამატებითი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს, რომელსაც გააჩნია სათანადო საბაზისო ცოდნა, შეასწავლოს მსოფლიო ბაზარზე პროფესიონალ მარკეტოლოგად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო დისციპლინები. მისცეს მას საშუალება თავის სპეციალობასთან მჭიდრო კონტაქტში ასევე განავითაროს მარკეტოლოგისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, თეორიული და პრაქტიკული საფიქლები, რომელიც მას მომავალში თავისი მთავარი სპეციალობის უკეთ წარმართვაში გამოეყენება.</p>
სწავლის შედეგები	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სტუდენტები გაეცნობიან მარკეტინგის პრინციპებს და შეძლებენ ბაზრის ანალიზს. სტუდენტებს ექნებათ უნარი შეადგინონ ორგანიზაციის მისია და გაწერონ მისი მიზნები და ქვემიზნები მარკეტინგული თეორიების გამოყენებით; სტუდენტები მარკეტინგულ ცოდნას გამოიყენებენ კოლექტიურ აზროვნებასა და</li> </ul>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>გუნდურ მუშაობაში როდესაც ისინი ახალ პროდუქტს ან ბრენდს შექმნიან, მას დაგეგმავენ და ორგანიზებას გაუწევენ;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად იმუშავონ ბიზნესის დაგეგმვისას, პროდუქტის შექმნისას, ლოჯიკური აზროვნებისას, ბიზნესის დახმარებისას, ინფორმაციული დაგეგმვისას, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგიების შექმნისას, ბრენდირ მესიჯის შექმნისას, საზოგადოებასთან ურთიერთობებისმიდგომების ჩამოყალიბებისას;</li> <li>✓ სტუდენტები შეიძენენ ცოდნას როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბიზნესის მარკეტინგულ აქტოვებებზე, მათ პრობლემებზე და გადაჭრის შესაძლო გზებზე, კრეატიულ მიდგომებზე.</li> </ul> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ თითოეული ორგანიზაციისათვის მარკეტინგის დასაწყისიდან, მარკეტინგული კვლევიდან ახალი პროდუქტის განვითარებისათვის საჭირო უნარები, საცალო და საბითუმო ფასწარმოების უნარი, გაყიდვების ორგანიზების უნარი, არხების აგების უნარი, პროდუქციის განთავსების უნარი, ინტეგრირებული მარკეტინგის დაგეგმვის უნარი, იდეის შენების უნარი, მესიჯის გაგზავნისა და კონტროლის უნარი;</li> <li>✓ ბაზრის ეფექტიანობის გაზომვის უნარი, ბაზარზე შეღწევის სტრატეგიის შეფასების უნარი, კონკურენტული ღონისძიებების დაგეგმვის უნარი;</li> <li>✓ მარკეტინგული ანგარიშის შექმნაში მონაწილეობა, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშის მომზადება, საბუღალტრო სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობა.</li> </ul> <p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და განმარტების შედეგად მიღებული ფინანსური ინფორმაციის, სიტუაციების ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>✓ მონაცემების ინტერპრეტაციის კომპლექსური პრობლემების და რისკების იდენტიფიცირების, პრობლემების გადაჭრისა და რისკების მართვის ალტერნატიული გზების განსაზღვრის უნარი;</li> <li>✓ დარგთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, მიღებული</li> </ul>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>გადაწყვეტილების არგუმენტირებულად დასაბუთებისა და დაცვის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი.</li> </ul> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროფესიონალურ დონეზე კომუნიკაციის დამყარების უნარი;</li> <li>✓ საკუთრი მოსაზრებისა და პოზიციის გარკვევით და მკაფიოდ ფორმულირების და სხვებისთვის გაზიარების უნარი; სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>✓ დარგთან დაკავშირებული საკითხებზე საუბრის წარმართვის უნარი. სხვადასხვა თემებზე პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მკაფიოდ და დეტალურად საუბრის, გარკვეული აქტუალური საკითხებისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>✓ პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან დისკუსიის წარმართვის უნარი, დებატებში მონაწილეობისას პირადი პოზიციისა და მოსაზრების არგუმენტირებულად ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარი, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი;</li> <li>✓ არსებული პრობლემებისა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრების დეტალურად და გარკვევით ჩამოყალიბებისა და წარმოდგენის უნარი;</li> <li>✓ სამუშაო ან სასწავლო ჯგუფებთან ეფექტურად მუშაობისა და ურთიერთობის უნარი. ჯგუფური განხილვებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებისა და ჯგუფური მუშაობის საბოლოო შედეგში წვლილის შეტანის უნარი;</li> </ul> <p><b>სწავლის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვის უნარი, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის უნარი;</li> <li>✓ ლიტერატურის დამოუკიდებლად გამოყენებით ცოდნის</li> </ul>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მ-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>გაღრმავების, დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ მიღებული ცოდნის შემდგომი გაღრმავების უნარი ცხოვრებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში საჭიროების შესაბამისად;</li> <li>✓ პროფესიულ სივრცეში არსებული გამოცდილების ათვისებისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;</li> <li>✓ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენისა და არსებული რესურსების გამოყენებით პროფესიულად შემდგომი განვითარების უნარი.</li> </ul> <p><b>ღირებულებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ მარკეტინგის პროფესიის მნიშვნელობის, როლისა და დანიშნულების გააზრება და გაცნობიერება;</li> <li>✓ სფეროსთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი და მიღებული ცოდნის გაღრმავების სურვილი;</li> <li>✓ ეთიკის ნორმებისა და ეთიკური მოთხოვნების შესაბამისი ღირებულებების განუხრელად დაცვის აუცილებლობის აღქმა;</li> <li>✓ ეთიკური ღირებულებების დამკვიდრების სურვილი. ორგანიზაციებსა და საზოგადოებაში ეთიკური ნორმების, ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის როლის გაცნობიერება;</li> <li>✓ ეთიკური საკითხებისა და პრობლემების ამოცნობის, გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს საბუღალტრო და სააუდიტორო საქმიანობის პროცესში სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებსა თუ ორგანიზაციებში;</li> <li>✓ აკადემიური და პროფესიული პატიოსნების პრინციპების დაცვის სურვილი.</li> </ul>
<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას</p> <ol style="list-style-type: none"><li>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;</li><li>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;</li><li>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;</li><li>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;</li><li>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.</li></ol> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას</p> <ol style="list-style-type: none"><li>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li><li>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li></ol> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"><li>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</li><li>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</li></ol> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა</p>
--	---

### შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.</p> <p>შეფასების საშუალებები შემდეგია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა;</li> <li>✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;</li> <li>✓ საშინაო დავალება;</li> <li>✓ დისკუსია;</li> <li>✓ ზეპირი გამოკითხვა;</li> <li>✓ წერიტი გამოკითხვა;</li> <li>✓ ესე;</li> <li>✓ სემინარი;</li> <li>✓ პრეზენტაცია;</li> <li>✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;</li> <li>✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.</li> </ul> <p>შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა.</p>
დასაქმების სფერო	-